მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №66
2022 წლის 07 ოქტომბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გაზგაყვანილობის ქსელი საბალანსო ღირებულებით 6613.23 ლარი) ს/კ: 41.00.021; 41.00.022; 41.00.023; 41.00.024; 41.00.025; 41.00.026 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გაზგაყვანილობის ქსელი, საბალანსო ღირებულებით 6613.23 ლარი) ს.კ: 41.00.021; 41.00.022; 41.00.023; 41.00.024; 41.00.025; 41.00.026 სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.
2. გადაცემული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაციის შემდგომ, ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს გაწიოს შუამდგომლობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, ზემოაღნიშნული ქონების, შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიისათვის გადაცემისათვის საჭირო პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით.
3. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა